



რა უნდა ვიცოდეთ ფსიქოაქტიური ნივთიერებების ერთდროული მოხმარების შესახებ



ახალგაზრდებისთვის

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მომზადებულია საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონში“

ფსიქოაქტიური ნივთიერებების **ერთდროული მოხმარება ანუ ნივთიერებათა შერევა** გულისხმობს ერთზე მეტი ნივთიერების ერთდროულად გამოყენებას ან რომელიმე ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ დამატებით სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების/ნივთიერებების მიღებას, როდესაც პირველი ნივთიერების ეფექტები ჯერ არ განვლეს.

არალეგალურ ბაზარზე არსებული ნარკოტიკების **შემადგენლობა უცნობია**. უცნობი შემადგენლობა ართულებს ზუსტი დოზირებისა და მოსალოდნელი ეფექტების წინასწარ განსაზღვრას ერთი ნივთიერების მოხმარების შემთხვევაშიც კი, და კიდევ უფრო არაპროგნოზირებადია ერთზე მეტი ნივთიერების ერთდროული მიღების მოსალოდნელი შედეგები და გართულებები.



ნივთიერებათა კომბინირებამ შეიძლება გამოიწვიოს სამი რეაქციიდან ერთ-ერთი: დანამატის, სინერგიული და ანტაგონისტური.

- 1** **დანამატის ეფექტები** აღმოცენდება, როდესაც ნივთიერებათა კომბინაცია წარმოქმნის ეფექტს, რომელიც ჰგავს მარტივ მიმატებას, როგორცაა განტოლება: $1 + 1 = 2$.
- 2** **სინერგიული ეფექტები** წარმოიქმნება მაშინ, როდესაც წამლების კომბინაცია იძლევა ეფექტს, რომელიც აღემატება ორი წამლის ეფექტების ჯამს, როგორცაა განტოლება: $1 + 1 = 3$.
- 3** **ანტაგონისტური ეფექტები** წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ნივთიერებათა კომბინაცია იძლევა ეფექტს, რომელიც ნაკლებია ცალკე მოქმედი ნივთიერებების ეფექტების ჯამზე, როგორცაა განტოლება: $1 + 1 = 1$ ან $1 + 1 = 0$.

ერთი და იგივე ტიპის ნივთიერებების შერევა

სტიმულანტი + სტიმულანტი

ცენტრალური ნერვული სისტემის **სტიმულანტებს** მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებსაც ახასიათებს გამააქტივებელი, მასტიმულირებელი მოქმედება ადამიანის თავის ტვინსა და სხეულზე (კოკაინი, ამფეტამინი, მეთამფეტამინი).

ამ პრეპარატების **კომბინირებულმა გამოყენებამ** შეიძლება გაგრძნობინოთ მეტი სტიმულირება (დანამატის ეფექტი), მაგრამ ასევე შეიძლება გაზარდოს გადაჭარბებული სტიმულაციის, გულისცემის გახშირების, არტერიული წნევისა და ტემპერატურის მომატების, შფოთვის, პანიკის ან ზედოზირების რისკი.

ერთდროულად ერთზე მეტი სტიმულანტის გამოყენება ასევე ზრდის **სეროტონინის სინდრომის** რისკს, რომელიც არის პოტენციურად სიცოცხლისათვის საშიში ტოქსიკური მდგომარეობა, განპირობებული ცენტრალურ ნერვულ სისტემაში სეროტონინის სიჭარბით. სეროტონინის ჭარბი რაოდენობა იწვევს ნიშნებსა და სიმპტომებს, რომლებიც შეიძლება მერყეობდეს მსუბუქიდან (კანკალი და ფალარათი) მძიმემდე (კუნთების დაჭიმულობა, ცხელება, კრუნჩხვები, თირკმლის მწვავე უკმარისობა, კომა).

ერთი და იგივე ტიპის ნივთიერებების შერევა

დეპრესანტი + დეპრესანტი

ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტებს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებიც თრგუნავენ ადამიანის თავის ტვინისა და სხეულის აქტივობას (ალკოჰოლი, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები, ოპიოიდები, ინჰალანტები). ამ ჯგუფის პრეპარატების შერევა სინერგიულ ეფექტს იძლევა და კვეთრად ზრდის ცნობიერებისა და სუნთქვის დათრგუნვის, ზედოზირების რისკებს.



სხვადასხვა ტიპის ნივთიერებების შერევა

სტიმულანტი + დეპრესანტი


დეპრესანტისა და სტიმულანტის ერთდროული მიღება ორგანიზმზე დამატებით დატვირთვას იწვევს. ერთი ცდილობს, დათრგუნოს ადამიანის თავის ტვინი და სხეული, ხოლო მეორე - გააქტივოს (ანტაგონისტური ეფექტები). ასეთ შემთხვევაში, დეპრესანტების ეფექტები ნიღბავს სტიმულანტების ეფექტებს, შედეგად, თრობის სასურველი ეფექტის მისაღებად ადამიანი ზრდის მოხმარებული ნივთიერებების დოზებს და ზედოზირების რისკის წინაშე დგება.



ალკოჰოლის საშიში კომბინაციები სხვა ნივთიერებებთან

ალკოჰოლისა და საძილე/დამამშვიდებელი საშუალებების ერთდროული მოხმარება - ადამიანი უფრო სწრაფად და ძლიერად თვრება, უფრო მეტად ერღვევა მოძრაობათა კოორდინაცია, რაც ზრდის დაცემის, ტრავმების და ზედოზირების რისკებს.

ალკოჰოლის ოპიოიდებთან შერევის საფრთხე: ალკოჰოლი აძლიერებს ოპიოიდების გავლენას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, როგორცაა ძილიანობა, გაბრუება და ავტომობილის მართვის უნარების დაქვეითება. ოპიოიდების და ალკოჰოლის ერთდროული გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის სუნთქვის დათრგუნვისა და სიკვდილის რისკს. დადგენილია, რომ 5-დან დაახლოებით 1 ოპიოიდური სიკვდილის მიზეზი მისი ალკოჰოლთან ერთად მოხმარებაა.



ალკოჰოლის საშიში კომბინაციები სხვა ნივთიერებებთან

ალკოჰოლის კოკაინთან, ამფეტამინთან და ექსტაზისთან კომბინირების საშიშროება: ამ ნივთიერებებთან ერთად, ალკოჰოლი აძლიერებს ეიფორიის განცდას და, ამავე დროს, მავნე ზეგავლენას ახდენს თავის ტვინზე და ზრდის ზეწოლას გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

ალკოჰოლისა და კოკაინის ერთდროული გამოყენება წარმოქმნის კოკაეთილენს, ტოქსიკურ მეტაბოლიტს, რომელიც უფრო ტოქსიკურია ვიდრე კოკაინი და ალკოჰოლი ცალ-ცალკე და იწვევს გულისცემის და არტერიული წნევის უფრო დიდ მატებას. კოკაეთილენი ახანგრძლივებს კოკაინისა და ალკოჰოლის მოქმედებას და მის დაშლას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე მართო კოკაინს ან ალკოჰოლს. კოკაეთილენმა შეიძლება გამოიწვიოს გულყრები, ღვიძლის დაზიანება და იმუნური სისტემის ფუნქციონირების დაქვეითება.

ალკოჰოლთან ერთად კოკაინის, ამფეტამინის ტიპის სტიმულანტების ან ექსტაზის მიღება ნიღბავს ალკოჰოლის ეფექტს, ამიტომ ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ ინტოქსიკაციის დონეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქარბი მოხმარება, კოორდინაციისა და განსჯის მნიშვნელოვანი დაქვეითება, გონების დაკარგვა და სიკვდილი. ასეთი კომბინაცია უარყოფითად მოქმედებს ადამიანის შემეცნებით ფუნქციებზე, აქვეითებს ყურადღების კონცენტრაციის უნარს.



ალკოჰოლის საშიში კომბინაციები სხვა ნივთიერებებთან

ალკოჰოლისა და მარიხუანას ერთდროული მოხმარება. ეს ორი ნივთიერება აძლიერებს ერთმანეთის ეფექტებს და მათი შერევა იწვევს:

- დროის დამახინჯებულ აღქმას
- შემეცნებითი უნარების დაქვეითებას
- მოძრაობათა კოორდინაციის დაქვეითებას
- არასწორ განსჯას
- შენელებულ რეაქციებს
- შენელებულ სუნთქვას
- გულისცემის აჩქარებას
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უუნარობას
- მხედველობის დარღვევებს
- მოკლევადიანი მეხსიერების დაკარგვას ზემოქმედების ქვეშ
- უბედური შემთხვევებისა და ტრავმების ალბათობის ზრდას
- ჰალუცინაციების (მხედველობითი და სმენითი) წარმოქმნის გაზრდილ ალბათობას
- ბიძვითი განწყობის გაზრდილ ალბათობას
- ზედოზირების გაზრდილ ალბათობას

ე.წ. “კლუბური ნარკოტიკების” კომბინაციები

ამ ნივთიერებების შერევა ხშირად ხდება; ამას გარდა, მათ მოიხმარენ ალკოჰოლთან და მარიხუანასთან ერთად. გამოყენების ძირითადი საფრთხეები დაკავშირებულია მათ **ბრმად მოხმარებასთან**: უცნობია შემადგენლობა; უცნობია დოზირება; უცნობია ეფექტები; მწარმოებლები მუდმივად ცვლიან ნარკოტიკის ქიმიურ შემადგენლობას - ეს კი, გარდა იმისა, რომ ცვლის ნარკოტიკის ეფექტს, აძნელებს მისგან გამონჯეული **გართულებების მკურნალობას**. მაგალითად, ზოგჯერ ადამიანს ჰგონია, რომ მოიხმარს ექსტაზის და, სინამდვილეში, მას დამატებული აქვს ფენტანილი, რომელიც ძალიან ძლიერი ოპიოიდია და იწვევს სიცოცხლისათვის საშიშ ზედდოზირებას.

